დანართი N1

დამტკიცებულია
სსიპ - გარემოს ეროვნული
სააგენტოს უფროსის
2021 წლის “----------“
№ ბრძანებით

ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და “გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ” კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და “გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ” კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი N1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანო		სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის გამზ N150. TEL: 032 2439503
3	ელ-ფოსტა	info@nea.gov.ge

4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისთვის	ა)ლიცენზიის მფლობელმა მოპოვება განახორციელოს რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს ამბროლაურის სატყეო უბნის, თლუღის ყოფილი სატყეო უბნის მე-13 კვარტალში. ბ)მოსაპოვებელი რესურსის ოდენობად განისაზღვროს 25 ტონა. გ)ლიცენზიანტმა მოპოვება აწარმოოს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს მიერ სათესლე ნაკვეთის მასზე დამაგრებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ. დ)ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს მასზე დამაგრებული სათესლე ნაკვეთის ფიზიკური დაცვა. ე) ლიცენზიის მფლობელმა სოჭის გირჩი დამზადება აწარმოოს, სათესლე ნაკვეთზე და დამზადებისთვის განსაზღვრულ ვადებში (სექტემბერ-ოქტომბერი), ხოლო დამზადებული სოჭის გირჩის დამზადების ადგილიდან ტრანსპორტირება ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ტერიტორიული ორგანოს მიერ გაცემული ცნობით (რომელშიც ასახული იქნება სოჭის გირჩის დამზადების ადგილმდებარეობა, სატყეო, კვარტალი, სატაქსაციო უბანი, რაოდენობა, კგ.). ვ)ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს გირჩის კრეფის დროს ხეების დაზიანებისგან დაცვა. ზ)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით სამინისტროსა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის

		დეპარტამენტში წარადგინოს წლიური ანგარიში.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	სოჭის გირჩის მოპოვება რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს ამბროლაურის სატყეო უბნის, თლუღის ყოფილი სატყეო უბნის მე- 13 კვარტლში, წლიურად 25 ტონა.
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს ამბროლაურის სატყეო უბნის, თლუღის ყოფილი სატყეო უბნის მე-13 კვარტალი.
8	აუქციონის საწყისი ფასი	36 580 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10%)	3 658 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (10%) თანხის ოდენობა + 100 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	3 758 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყებისა და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია დაიწყება 2021 წლის 02 ივნისს 12:00 საათზე და დასრულდება 2021 წლის 01 ივლისს 12:00 საათზე
12	აუქციონის დასწყებისა და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი დაიწყება 2021 წლის 02 ივლისს 12:00 საათზე და დასრულდება 2021 წლის 02 ივლისს 18:00 საათზე.
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	2021 წლის 31 დეკემბერი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში.